

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №04
2013 წლის 12 ივნისი

ქ. ქობულეთი

„ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 27 დეკემბრის №31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 27 დეკემბრის №31 დადგენილებაში (სსმ 04.01.2013 წ.) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ელგუჯა ბაგრატიონი

თავი I

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი			2013 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
შემოსავლები	20,020,686	27,189,480	25,312,334	1,877,146	18,237,709	16,830,134	1,407,575
გადასახადები	1,003,402	1,575,001	1,575,001	-	930,910	930,910	0
გრანტები	17,896,962	23,646,810	21,769,664	1,877,146	16,127,444	14,719,869	1,407,575
სხვა შემოსავლები	1,120,322	1,967,669	1,967,669	-	1,179,355	1,179,355	0
ხარჯები	7,952,254	10,021,843	9,858,883	162,960	11,950,451	11,822,451	128,000
შრომის ანაზღაურება	1,489,505	2,123,641	2,123,641	-	2,550,090	2550090	-
საკონელი და მომსახურება	2,801,168	2,890,486	2,887,526	2,960	2,913,473	2913473	-



პროცენტი	156,229	503,398	503,398	-	504,410	504410	-
სუბსიდიები	2,640,944	3,014,881	3,014,881	-	4,302,235	4302235	-
გრანტები	-	-	-	-	390,000	390,000	-
სოციალური უზრუნველყოფა	524,033	705,798	545,798	160,000	1,176,743	1048743	128,000
სხვა ხარჯები	340,375	783,639	783,639	-	113,500	113500	-
საოპერაციო სალდო	12,068,432	17,167,637	15,453,451	1,714,186	6,287,258	5,007,683	1,279,575
არაფინანსური აქტივების ცვლილება	7,260,498	19,614,475	18,028,289	1,586,186	9,149,284	7,741,709	1,407,575
ზრდა	8,943,476	19,932,826	18,346,640	1,586,186	9,404,016	7,996,441	1,407,575
კლება	1,682,978	318,351	318,351		254,732	254,732	
მთლიანი სალდო	4,807,934	-2,446,838	-2,574,838	128,000	-2,862,026	-2,734,026	-128,000
ფინანსური აქტივების ცვლილება	4,762,191	-2,564,196	-2,692,196	128,000	-3,396,456	-3,268,456	-128,000
ზრდა	4,762,191	1,140,500	1,012,500	128,000	-	-	-
ვალუტა, დეპოზიტები	4,762,191	1,140,500	1,012,500	128,000	-		
კლება	-	3,704,696	3,704,696	-	3,396,456	3,268,456	128,000
ვალუტა, დეპოზიტები		3,704,696	3,704,696		3,396,456	3,268,456	128,000
ვალდებულებების ცვლილება	-45,743	-117,358	-117,358	0	-534,430	-534,430	0
ზრდა		-			-		
კლება	45,743	117,358	117,358	-	534,430	534,430	-
ბალანსი	-	-	-	-	-	-	-

მუხლი 2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება:

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი		2013 წლის გეგმა			
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი



	ტრანსფერები						ტრანსფერები
შემოსულობები	21,703,664	27,507,831	25,630,685	1,877,146	18,492,441	17,084,866	1,407,575
შემოსავლები	20,020,686	27,189,480	25,312,334	1,877,146	18,237,709	16,830,134	1,407,575
არაფინანსური აქტივების კლება	1,682,978	318,351	318,351	-	254,732	254,732	-
ვალდებულებების ზრდა	-	-	-	-	-	-	-
გადასახდელები	16,941,473	30,072,027	28,322,881	1,749,146	21,888,897	20,353,322	1,535,575
ხარჯები	7,952,254	10,021,843	9,858,883	162,960	11,950,451	11,822,451	128,000
არაფინანსური აქტივების ზრდა	8,943,476	19,932,826	18,346,640	1,586,186	9,404,016	7,996,441	1,407,575
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)		-			-		
ვალდებულებების კლება	45,743	117,358	117,358	-	534,430	534,430	-
ნაშთის ცვლილება	4,762,191 - 2,564,196	- 2,692,196	128,000 - 3,396,456	- 3,268,456	- 128,000		

მუხლი 3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 18237709 ლარის ოდენობით.

დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი			2013 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
შემოსავლები	20,020,686	27,189,480	25,312,334	1,877,146	18,237,709	16,830,134	1,407,575
გადასახადები	1,003,402	1,575,001	1,575,001		930,910	930,910	-
გრანტები	17,896,962	23,646,810	21,769,664	1,877,146	16,127,444	14,719,869	1,407,575
სხვა შემოსავლები	1,120,322	1,967,669	1,967,669		1,179,355	1,179,355	-

ა) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 930910 ლარის ოდენობით.

დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა
გადასახადები	1,003,402	1,575,001	930,910



ქონების გადასახადი	1,003,402	1,575,001	930,910
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	439,432	1,034,320	445,500
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	66,136	83,416	40,500
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	66,546	120,050	44,910
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	431,157	335,144	400,000
სხვა არაკლასიფიცირებული ადგილობრივი გადასახადი	131	2,071	-

ბ) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 16127444 ლარის ოდენობით.

დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი			2013 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
გრანტები	17,896,962	23,646,810	21,769,664	1,877,146	16,127,444	14,719,869	1,407,575
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტი	87,803	-	-	-	-	-	-
სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები	17,809,159	23,646,810	21,769,664	1,877,146	16,127,444	14,719,869	1,407,575
საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი გათანაბრებითი ტრანსფერი	5,649,300	6,224,500	6,224,500	-	5,784,900	5,784,900	-
სპეციალური ტრანსფერი	12,159,859	17,422,310	15,545,164	1,877,146	10,342,544	8,934,969	1,407,575
მ.შ. საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრები	-	194,260	-	194,260	-	-	-
მ.შ. საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრები	-	290,960	-	290,960	-	-	-



მ.შ. სხვა სპეციალური ტრანსფერი	1,069,559	1,391,926		1,391,926	1,407,575		1,407,575
აჭარის არ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი	11,090,300	15,545,164	15,545,164		8,934,969	8,934,969	

გ) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 1179355. ლარის ოდენობით.

დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	1,120,322	1,967,669	1,179,355
შემოსავლები საკუთრებიდან	391,888	1,111,192	430,500
პროცენტები	204,350	925,976	250,500
დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები	204,350	925,976	250,500
რენტა	187,538	185,216	180,000
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	58,916	56,068	50,000
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვამი (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	128,622	129,148	130,000
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	323,147	259,226	278,000
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	288,475	226,841	250,000
სანებართვო მოსაკრებელი	15,096	36,844	30,000
მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე	15,096	36,844	30,000
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	98	35	-
სატენდერო მოსაკრებელი			



სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	113,986	2	-
სათამაშო აპარატებიდან	90,034	-	-
ტოტალიზატორის, ბინგოს ლოტოს სალაროებიდან	23,906	-	-
წამახალისებელი გათამაშებიდან	17	-	-
სხვა არაკლასიფიცირებული სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	29	-	-
მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	159,295	189,917	220,000
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი		43	
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	34,672	32,385	28,000
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	34,672	32,385	28,000
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	362,845	374,773	300,000
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	42,442	222,478	170,855
შემოსულობა გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემიდან		222,478	120,000
წინა წლის გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები			50,855
სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	42,442	-	

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 11950451 ლარის ოდენობით თანადართული რედაქციით:

დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი			2013 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
ხარჯები	7,952,254	10,021,843	9,858,883	162,960	11,950,451	11,822,451	128,000



შრომის ანაზღაურება	1,489,505	2,123,641	2,123,641	-	2,550,090	2,550,090	-
საქონელი და მომსახურება	2,801,168	2,890,486	2,887,526	2,960.0	2,913,473	2,913,473	-
პროცენტი	156,229	503,398	503,398	-	504,410	504,410	-
სუბსიდიები	2,640,944	3,014,881	3,014,881	-	4,302,235	4,302,235	-
გრანტები					390,000	390,000	-
სოციალური უზრუნველყოფა	524,033	705,798	545,798	160,000	1,176,743	1,048,743	128,000
სხვა ხარჯი	340,375	783,639	783,639	-	113,500	113,500	-

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 9149284. ლარის ოდენობით მათ შორის.

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 9404016 ლარის ოდენობით, თანადართული რედაქციით;.

დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი			2013 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	69,168	227,964	227,964	-	21,600	21,600	-
თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	259,249	7,156	7,156	-	61,060	61,060	-
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	8,569,988	18,621,238	17,035,052	1,586,186	4,966,458	3,558,883	1,407,575
განათლება	13,416	699,298	699,298	-	938,047	938,047	-
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	31,655	352,449	352,449	-	3,416,851	3,416,851	-
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური	-	24,721	24,721	-	-	-	-



უზრუნველყოფა							
ჯამი	8,943,476	19,932,826	18,346,640	1,586,186	9,404,016	7,996,441	1,407,575

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 254732 ლარის ოდენობით,მათ შორის,:

დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი			2013წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
არაფინანსური აქტივების კლება					254,732	254,732	-
ძირითადი აქტივები	1,682,978	318,351	318,351	-	254,732	254,732	-

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა 21354467 ლარით ფუნქციონალურ ჭრილში, თანადაართული რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი			2013 წლის გეგმა		
			სულ			სულ		
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
701	საერთო დანიშნულების სსახელმწიფო მომსახურება	1,909,199	3,189,861	3,186,901	2,960	3,324,910	3,324,910	0
7011	ადმსრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა ფინანსური და ფისკალური საქმიანობა,საგარეო ურთიერთობები	1,682,151	2,208,666	2,205,706	2,960	2,430,500	2,430,500	0
70111	ადმსრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	1,547,337	2,072,571	2,069,611	2,960	2,186,520	2,186,520	0
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	134,814	136,095	136,095	0	243,980	243,980	0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	156,229	503,398	503,398	0	504,410	504,410	0



7017	საერთო დანისწულების ფულადი ნაკადები მტავრობის სხვადასხვა დონეებს შორის	0	0	0	0	390,000	390,000	0
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	70,819	477,797	477,797	0	0	0	0
702	თავდაცვა	106,634	115,149	115,149	0	135,090	135,090	0
7021	შეიარაღებული ძალები	106,634	115,149	115,149	0	135,090	135,090	0
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	576,853	553,575	553,575	0	619,840	619,840	0
7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	61,253	49,965	49,965	0	0	0	0
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	515,600	503,610	503,610	0	619,840	619,840	0
704	ეკონომიკური საქმიანობა	3,887,072	6,083,406	5,923,406	160,000	2,336,262	2,208,262	128,000
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	9,998	188,176	28,176	160,000	750,500	622,500	128,000
70421	სოფლის მეურნეობა	9,998	188,176	28,176	160,000	750,500	622,500	128,000
7045	ტრანსპორტი	3,757,516	5,760,380	5,760,380	0	1,436,842	1,436,842	0
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	3,757,516	5,760,380	5,760,380	0	1,436,842	1,436,842	0
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში	119,558	134,850	134,850	0	148,920	148,920	0
705	გარემოს დაცვა	2,460,309	2,424,176	2,424,176	0	1,456,054	1,456,054	0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	1,198,529	1,340,538	1,340,538	0	1,310,000	1,310,000	0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	1,261,780	1,083,638	1,083,638	0	146,054	146,054	0
706	საბინაო_კომუნალური მეურნეობა	5,249,023	13,328,574	11,742,388	1,586,186	5,014,472	3,606,897	1,407,575
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	631,055	7,258,561	7,064,301	194,260	1,025,877	1,025,877	0
7063	წყალმომარაგება	2,472,663	1,785,752	1,785,752	0	1,407,389	1,407,389	0
7064	გარე განათება	652,921	575,769	575,769	0	577,058	577,058	0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	1,492,384	3,708,492	2,316,566	1,391,926	2,004,148	596,573	1,407,575
707	ჯანმრთელობის დაცვა	137,908	108,413	108,413	0	181,080	181,080	0
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	137,908	108,413	108,413	0	181,080	181,080	0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	786,457	1,479,805	1,479,805	0	5,149,294	5,149,294	0
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	93,818	609,163	609,163	0	4,294,214	4,294,214	0



7082	მომსახურება კულტურის სფეროში	651,821	789,571	789,571	0	748,700	748,700	0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	350	780	780	0	22,000	22,000	0
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	40,468	80,291	80,291	0	84,380	84,380	0
709	განათლება	1,259,242	2,106,619	2,106,619	0	2,717,142	2,717,142	0
7091	სკოლამდელი აღზრდა	802,275	793,725	793,725	0	1,105,635	1,105,635	0
7092	ზოგადი განათლება	20,950	25,292	25,292	0	7,000	7,000	0
70923	საშუალო ზოგადი განათლება	20,950	25,292	25,292	0	7,000	7,000	0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	436,017	1,287,602	1,287,602	0	1,604,507	1,604,507	0
710	სოციალური დაცვა	523,033	565,091	565,091	0	420,323	420,323	0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას	125,275	127,297	127,297	0	142,834	142,834	0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	397,758	437,794	437,794	0	277,489	277,489	0
	მთლიანი ხარჯები	16,895,730	29,954,669	28,205,523	1,749,146	21,354,467	19,818,892	1,535,575

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო .

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო - 2 862 026ლარის ოდენობით;

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება -3 396 456 ლარის ოდენობით.

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება 534430 ლარის ოდენობით.

მუხლი 10. ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 80000 ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12. სპორტული , კულტურული და ახალგაზრდული ღონისძიებები

სპორტულ, კულტურულ, ახალგაზრდულ პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.



მუხლი 13. პრემიები

2013 წლის განმავლობაში ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციის მუშაკებზე პრემიების გაცემა განხორციელდეს დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

თავი II

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 14. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1 თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 03 00)

ბოლო დროს გახშირებული, სახანძრო და სხვა უბედური შემთხვევების პრევენციის მიზნით აუცილებელია პერსონალის სახანძრო და სამაშველო ტექნიკური ინვენტარით უზრუნველყოფა. პერსონალისათვის სათანადო ხარისხის ინდივიდუალური და ჯგუფური წვრთნების ჩატარება და პროფესიული დონის ამაღლება. სახანძრო-სამაშველო სამსახურის და კომუნალური პირობების გაუმჯობესება. რაც აუცილებელია სხვადასხვა ოპერატიული მოქმედებისათვის.

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ქობულეთის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

1.1 სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური (პროგრამული კოდი 02 01)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ქობულეთის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა და რეზერვისტთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირებისა და გაწვევებთან დაკავშირებული ხარჯების უზრუნველყოფა.

1.2 სახანძრო -სამაშველო სამსახური (პროგრამული კოდი 02 02)

ბოლო დროს გახშირებული სტიქიური მოვლენების, საგანგებო და სხვა უბედური შემთხვევების პრევენციისა და დახმარების გასაწევად აუცილებელია სახანძრო სამაშველო სამსახურის კომუნალური პირობების გაუმჯობესება, აგრეთვე არსებული რესურსებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით შესაბამისი სამსახურის ტექნიკური ინვენტარით უზრუნველყოფა, პროგრამა დააფინანსებს სამსახურის კუთვნილი ავტომობილის სრულ რეაბილიტაციას, რაც აუცილებელია მაშველების ოპერატიული მოქმედებისათვის. აუცილებელია პერსონალისათვის სათანადო ხარისხის ინდივიდუალური და ჯგუფური წვრთნების ჩატარება და პროფესიული დონის ამაღლება.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება ქალაქის საცხოვრებელი უბნების ეზოების, პარკების და მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების ეზოების კეთილმოწყობა, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების გადახურვა, წყალმომარაგებისა და კანალიზაციის რეაბილიტაცია, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

2.1 საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებულ რეაბილიტირებულ ქუჩებში გადაადგილების უსაფრთხოებისა და სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის რეგულირება, მგზავრთა მუნიციპალური ტრანსპორტით გადაადგილების უზრუნველყოფა, უზრუნველყოფილი იქნება გზებზე უსაფრთხო გარემოს შექმნა. გათვალისწინებულია სანაპირო ზოლზე ნაპირდამცავი ჯებირის მშენებლობა და ქალაქის შემოსასვლელში მანიშნებლების სარეაბილიტაციო სამუშაოები, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ჩამოსული ტურისტებისათვის მიმზიდველი და კომფორტული გარემოს შექმნას და ქალაქის იერსახის გაუმჯობესებას.

2.1.1. ქ.ქობულეთში ქუჩებს შორის გადასასვლელების მოწყობა (პროგრამული კოდი 03 01 01)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქ. ქობულეთში 9 აპრილის ქუჩის მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოებს



კერძოდ სავალი ნაწილისა და ტროტუარების მოწყობას და არსებული საკანალიზაციო ქსელის შეცვლას.

2.1.2 ქ.ქობულეთში თამარ მეფის სანაპიროს ჯებირისა და სანაპიროს სავალი ნაწილის რეაბილიტაცია-მშენებლობა (პროგრამული კოდი 03 01 02)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ქობულეთში თამარ მეფის სანაპიროს №124-ის მიმდებარედ დაზიანებული ნაპირსამაგრი საყრდენი კედლისა, სავალი ნაწილის და პარაპეტის მოწყობას.

2.1.3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსათავსებელი საგზაო ნიშნების მონტაჟი, ქალაქის მანიშნებლების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 01 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის შემოსასვლელში (ჩოლოქი, კარიერი) არსებული ქალაქის მანიშნებლების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

2.1.4. სიჩქარის შემზღუდავი ბარიერის შექმნა-მონტაჟი (პროგრამული კოდი 03 01 08)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ქუჩების იმ ადგილებში, სადაც ხშირია ავტო-საგზაო შემთხვევები სიჩქარის შემზღუდავი ბარიერის განთავსებას. სულ შექმნილი იქნება და დამონტაჟდება 144გრძ/მეტრამდე სიჩქარის შემზღუდავი ბარიერი.

2.1.5. მუნიციპალიტეტში ნაპირსამაგრი სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 01 09)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფელ ხალაში მდინარე ჩაქვის წყალზე ნაპირსამაგრი კედლის მოწყობის სამუშაოები.

2.1.6. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და ქალაქ ბათუმის მიმართულებით მუნიციპალური ტრანსპორტით (ავტობუსებით) მომსახურების პროგრამა (პროგრამული კოდი 03 01 10)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (თემებში, სოფლებსა და ქალაქის ტერიტორიაზე) და ქალაქ ბათუმის მიმართულებით მგზავრთა გადაადგილების უზრუნველსაყოფად მუნიციპალური ტრანსპორტით, კერძოდ ავტობუსებით მომსახურების ხარჯების თანადაფინანსებას. აღნიშნული ქვეპროგრამა განხორციელდება შპს “ქობულეთის ტრანსრეგულირების“ მიერ.

2.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობა, გადახურვა, მუნიციპალიტეტის გარე განათების არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები, გარე განათების ახალი წერტების მოწყობა. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიების დასუფთავება და მაწანწალა ცხოველებისგან დაცვა. წყალმომარაგების უზრუნველყოფისა და მოსახლეობაზე სასმელი წყლის მიწოდების გაუმჯობესების მიზნით განხორციელდება წყალსადენის სათავე ნაგებობების მშენებლობა და რეაბილიტაცია, მოწესრიგდება საკანალიზაციო სისტემები.

2.2.1 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების და ეზოების მოწესრიგების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 01)

ქალაქის იერ-სახის შენარჩუნებისა და მისი გაუმჯობესების მიზნით ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების მოწესრიგების სამუშაოები კერძოდ, ქ. ქობულეთში ჩეხოვის ქN19-ში, რუსთაველის ქუჩა N100, აღმაშენებლის ქუჩის N99-101 ეზოს, აღმაშენებლის ქ. N106-ში და N112-114-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზოს კეთილმოწყობის მიზნით დაფინანსდება აღნიშნული ეზოების ფილებით მოწყობა, მასთან დაკავშირებული სანიაღვრე ქსელის მოწყობის სამუშაოები და ასევე დაფინანსდება ეზოს სკვერის მოწყობის სამუშაოები. პროგრამით გათვალისწინებულია მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია, სულ გადაიხურება სოფლებში: ბობოყვათი, ციხისძირი, კვირიკე, სოფელ ქობულეთი, ხუცუბანი აგრეთვე დაბა ოჩხამური-ცეცხლაურის და დაბა ჩაქვში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები, ქ. ქობულეთში თამარ მეფის ქუჩა N68 ში, პუშკინის ქუჩა N8 ში, მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი. შეკეთებითი სამუშაოები ჩატარდება ქ. ქობულეთში დ. აღმაშენებლის ქ. N1 და მემედ აბაშიძის ქ N4-6 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავს.



2.2.2. გარე განათება (პროგრამული კოდი 03 02 02)

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის, გარე განათების ქსელის განვითარებისა და არსებულის სრულყოფისათვის, ენერჯის დაზოგვისაკენ მიმართული ღონისძიებების დანერგვა და განათების თანამედროვე წყაროების, ეფექტური ოპტიკური სისტემების, კონსტრუქციებისა და მასალების გამოყენების დანერგვა, აგრეთვე შუქტექნიკის პრაქტიკაში შუქდიოდების აქტიური დანერგვა, ღამით ქალაქში უსაფრთხოებისთვის ხელისშეწყობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის - 3605 წერტის ექსპლოატაცია, მოხმარებული ელექტროენერჯის ანაზღაურება რაც ხელს შეუწყობს რეაბილიტირებულ გზებზე და შიდა კვარტალურ ეზოებში ქალაქის იერსახის შენარჩუნების. პროგრამა დააფინანსებს ახალი გარე განათების წერტების მოწყობის სამუშაოებს კერძოდ ქაქუთის თემის სოფელ აჭსა და ქალაქ ქობულეთში მტს-ის დასახლებაში.

2.2.3 დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 03)

მუნიციპალიტეტის ერთერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, ქალაქის ტერიტორიაზე სისუფთავის და წესრიგის დაცვა, ნაგავსაყრელების მოვლა-დამუშავება, ასევე მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების სარდაფებისა და ბუნკერების და გარე ქსელის ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გათავისუფლება. ზამთრის პერიოდში განხორციელდება გზების ტენიკური მარილით დამუშავება, ხოლო დიდთოვლიანობის შემთხვევაში ჭარბი თოვლისგან გათავისუფლება. მუნიციპალიტეტში მაწანწალა ცხოველების არსებობა სხვადასხვა ვირუსული დაავადების და ცოფის გავრცელების ძირითად საფრთხეს წარმოადგენს, რისი გათვალისწინებითაც განხორციელდება ცხოველების დაჭერა და მათი გადაყვანა სპეციალიზირებულ თავშესაფარში ან საჭიროების შემთხვევაში განადგურება, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება.

2.2.4 გამწვანების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 030204)

ქვეპროგრამის ფარგლებში 2013 წელს გაგრძელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მწვანე საფარის და მათ შორის მარადმწვანე დეკორატიული მცენარეების მოვლა-პატრონობის სამუშაოები რასაც ახორციელებს ა(ა)იპ ქობულეთის გამწვანება, პროგრამა დააფინანსებს მისი ფუნქციონირებისათვის საჭიროს ყველა ხარჯს.

2.2.5 წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 05)

ქვეპროგრამით გათვალისწინებულია მოსახლეობისათვის და არსებული ორგანიზაციებისათვის ეკოლოგიურად სუფთა, სასმელი წყლის 24-საათიანი მიწოდების რეჟიმით უზრუნველყოფა. შპს „ქობულეთის წყალი“ უზრუნველყოფს მოსახლეობისათვის სასმელი წყლის დროულ და ხარისხიანად მიწოდებას, დაფინანსება ხდება სასმელი წყლის მიწოდებაზე დახარჯული ელექტრო ენერჯის ანაზღაურების მიზნით. გათვალისწინებულია სოფელ ხუცუბნის, სოფელ ქვედა კვირიკის წყალსადენის სისტემის რეაბილიტაცია, ზედა ლედვას მაგისტრალური წყალსადენის სისტემის რეაბილიტაცია და სამარაგო რეზერვუარის მშენებლობა, სოფელ ციხისძირის წყალსადენისათვის სასმელი წყლის მიღების შექმნა. ქალაქ ქობულეთში თავისუფლების ქუჩისა (ახალსოფლის დასახლება) და მემედ აბაშიძის პირველი და მე-2 შესახვევის წყალსადენის ქსელის რეაბილიტაცია, ქიაჩელისა და გაგარინის ქუჩების სასმელ -სამეურნეო წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია; აგრეთვე პროგრამა ითვალისწინებს ა(ა)იპ ქობულეთის სოფლის წყალის დაფინანსებას, რომელიც მუნიციპალიტეტში უზრუნველყოფს სოფლების წყლის სათავე ნაგებობებისა და შიდა გაყვანილობის მიმდინარე რემონტის სამუშაოების განხორციელებას, ამორტიზირებული წყლის მიღების შეცვლას, რაც პირველ რიგში დაკავშირებულია სოფლების ინფრასტრუქტურის სწრაფ განვითარებასთან და მოსახლეობის ცხოვრების კრიტერიუმების ცვლილებასთან.

2.2.6 სანიაღვრე არხებისა და საკანალიზაციო სისტემის მოწყობა- რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქალაქ ქობულეთის ტერიტორიაზე სანიაღვრე კანალიზაციის მიმდინარე ექსპლუატაცია, სანიაღვრე წყლების გზის სავალი ნაწილიდან მოშორება მათზე სისტემატიური კონტროლი და სრულყოფილი მონიტორინგის უზრუნველყოფა, აგრეთვე ქ. ქობულეთში არსებული დახურული და ღია სანიაღვრე არხების, სანიაღვრე ჭების გაწმენდა, შლამის ამოღება და გატანა. გათვალისწინებულია სანიაღვრე სატუმბი სადგურის მიმდინარე ექსპლუატაცია (მოვლა-პატრონობა). პროგრამა ითვალისწინებს ქ. ქობულეთში აღმაშენებლის ქუჩა N94-ა მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი



სახლის არსებულ სანიაღვრე არხის დაზიანებული რკინა-ბეტონის სახურავის აღდგენას და დაბა ჩაქვში ბათუმის ქუჩა N18-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სანიაღვრე არხის რემონტს, აგრეთვე პროგრამა დააფინანსებს ქალაქ ქობულეთში ვერულიძის ქუჩის N9-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელ სახლის გარე საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგებას, ქალაქ ქობულეთში დ. აღმაშენებლის ქ. N276 სახლის საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაციას და წვიმის შედეგად დამდგარი წყლის საწრეტი სისტემის მოწყობას, აგრეთვე პროგრამით განხორციელდება დაბა ოჩხამურში საკანალიზაციო და ჩამდინარე წყლის სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები.

2.2.7 უსახური შენობა ნაგებობების დემონტაჟი (პროგრამული კოდი 03 02 07)

მუნიციპალიტეტის იერ-სახის შენარჩუნების მიზნით ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია უსახური ნაგებობების (ავტოფარეხი, რკინის კონსტრუქცია, უსახური ჯიხურები რეკლამები, ბილბორდები) და უკანონო მიწენებების დემონტაჟი.

2.3 მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობითი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა, პარკებისა და მოედნების კეთილმოწყობითი სამუშაოები, სკვერებსა და პარკებში არსებული საჯდომების მიმდინარე შეკეთება-რეაბილიტაცია, მუნიციპალიტეტის შენობა-ნაგებობების სარემონტო და კეთილმოწყობითი სამუშაოები.

2.3.1 სკვერებისა, პარკებისა და მოედნების კეთილმოწყობითი სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 03 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქ. ქობულეთში აღმაშენებლის გამზირის №141-ის მოპირდაპირედ მოედნის კეთილმოწყობითი სამუშაოები, ქალაქ ქობულეთის ცენტრალურ პარკში რეაბილიტაცია ჩატარდება პარკში არსებულ წყლის აუზს ე.წ. “გედების ტბის“ აუზს, ქობულეთისა და დაბა ჩაქვის პარკისათვის შეიძინება და განთავსდება სადარაჯო ჯიხურები, ცენტრალურ პარკში განთავსებულ ამფითეატრში მოეწყობა მოძრავი ხის სცენა.

2.3.2 მუნიციპალიტეტის შენობა-ნაგებობების სარემონტო და კეთილმოწყობითი სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 03 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში არსებულ ადმინისტრაციულ შენობა-ნაგებობებს კერძოდ: ქალაქ ქობულეთში აღმაშენებლის ქუჩა №100-ში მდებარე, ლესელიძის ქუჩა №1-ში და აღმაშენებლის ქუჩა №141-ში მდებარე შენობებს და სოფელ კოხის ამბულატორიისა და ბიბლიოთეკის შენობების დაზიანებულ სახურავს ჩატარდება სარეაბილიტაციო სამუშაოები.

2.3.3 ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული რკინა-ბეტონის და ლითონის კონსტრუქციების (ღობეების) და სკვერებსა და პარკებში საჯდომების მიმდინარე შეკეთება-რეაბილიტაციის სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 03 06)

მუნიციპალიტეტის ტურისტული სეზონის მზადებასთან დაკავშირებით ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქობულეთში თამარ მეფის სანაპიროზე განლაგებული, ცენტრალური ბიბლიოთეკის მიმდებარედ ტერიტორიაზე არსებული, მუზეუმის მიმდებარე სკვერში, ჩეხოვის ქუჩა №1-ის მიმდებარედ პარკში და მემედ აბაშიძის N2-4 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზოში განლაგებული დაზიანებული სკამების რეაბილიტაცია.

2.3.4 ქ.ქობულეთის და აღმაშენებლის გამზირის №700ის მოპირდაპირედ სანაპირო ზოლში კეთილმოწყობითი, ნაპირდამცავი სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 03 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ. ქობულეთის დ. აღმაშენებლის გამზირის №700 ის მოპირდაპირედ ნაპირდამცავი სამუშაოები, არსებული დეკორატიული ფილების მონტაჟი და დემონტაჟი.

2.4 საპროექტო -სახარჯთაღრიცხვო და სხვადასხვა ტექნიკური დოკუმენტაციის შესყიდვა (პროგრამული კოდი 03 05)

მუნიციპალიტეტში სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საფუძველს მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და წესების გათვალისწინებით შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოადგენს. აგრეთვე რიგ შემთხვევებში აუცილებლობიდან გამომდინარე საჭირო ხდება დაზიანებული შენობა-ნაგებობებზე მიყენებული ზარალის განსაზღვრის მიზნით ტექნიკური დოკუმენტაციების მომზადება.



2.5 ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაცია კეთილმოწყობა (სოფლის მხარდაჭერის პროგრამა) (პროგრამული კოდი 03 06)

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N25 დადგენილებისა "სოფლის მხარდაჭერის პროგრამის დამტკიცების შესახებ" და 2013 წლის 17 მაისის N466 განკარგულების " სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" თანახმად პროგრამა ითვალისწინებს სოფლის პირველი რიგის სოციალურ-ეკონომიკურ საჭიროებათა (ადგილობრივი ინფრასტრუქტურის ობიექტების, კეთილმოწყობის და სხვა) დაფინანსებას.

2.6 საცხოვრებელი ბინების სადებიზინფექციო ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 07)

მუნიციპალიტეტში სხვადასხვა ინფექციური დაავადებების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით აუცილებელია ისეთი პრევენციული ღონისძიების გატარება როგორცაა სადერატიზაციო და სადებიზინფექციო სამუშაოების ჩატარება. სულ სამუშაოები ჩატარდება 137160 კვ/მეტრ ფართობზე.

2.7 აზომვითი ნახაზების შედგენის ხარჯი(პროგრამული კოდი 03 08)

მუნიციპალიტეტში არსებული შენობა-ნაგებობების, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების, ხაზობრივ ნაგებობების აზომვითი ნახაზების მომზადება და მისი შემდგომი მუნიციპალურ საკუთრებად დარეგისტრირება ხელს შეუწყობს არსებული ქონების მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში განკარგვას.

2.8 სხვადასხვა სანიტარულ-ჰიგიენური და ლაბორატორიული გამოკვლევების ხარჯი (პროგრამული კოდი 03 09)

ტურისტული სეზონის დადგომამდე და სეზონის განმავლობაში აუცილებელი ხდება ტურისტულ ობიექტებში გარემო ზემოქმედების ფაქტორებისა და მიკროკლიმატის მაჩვენებლების , კვების ბლოკების მდგომარეობის მოქმედ სანიტარულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

2.9 ციტრუსის სეზონის ღონისძიებათა ხელშეწყობა და მეციტრუსეობის დარგში დასაქმებული მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 03 10)

პროგრამით გაგრძელდება ციტრუსის სეზონის მოსავლის აღების ღონისძიებათა ხელშეწყობა და ამ მიზნით მუნიციპალიტეტის მეციტრუსეობის დარგში დასაქმებული მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის ღონისძიება.

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა და ახალი ბაღების ფუნქციონირება.

3.1 სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს სკოლამდელი განათლება წარმოადგენს რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია.

3.1.1 ა(ა)იპ საბავშვო ბაღების გაერთიანება(პროგრამული კოდი 04 01 01)

მუნიციპალიტეტში იფუნქციონირებს 15 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას მიიღებს 1200 ზე მეტი ბავშვი. საბავშვო ბაღებში ერთი ბავშვის სწავლის ღირებულება შეადგენს 25 ლარს და აღნიშნული თანხით ფინანსდება ბავშვების კვების ხარჯები. მუნიციპალიტეტი ითვალისწინებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს.

3.1.2 საბავშვო ბაღების მშენებლობა, რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 04 01 01)



ხორციელდება არსებული ბალების რეაბილიტაცია და ბალების განტვირთვის მიზნით ახალი ბალების მშენებლობა და შესაბამისი ინვენტარით უზრუნველყოფა. პროგრამა ითვალისწინებს №2 საბავშვო ბაღის რეაბილიტაციას ხოლო N5 საბავშვო ბაღის მშენებლობას და ინვენტარით უზრუნველყოფას, ასევე საბავშვო ბაღებისათვის (ხალა, აჭყვისთავი, ლელვას, დაბა ჩაქვის და ქალაქის №1) სამზარეულო ინვენტარით უზრუნველყოფა.

3.2. საჯარო სკოლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02)

პროგრამით გათვალისწინებულია ქობულეთის მე-3 საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირება და ამ მიზნით მომსახურე კუთვნილი ავტობუსის უზრუნველყოფა საწვავით .

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 0500)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შესძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს;

4.1. სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისათვის პროგრამა აგრეთვე ითვალისწინებს ქ. ქობულეთში სპორტული კომპლექსის მშენებლობის დასრულებას.

2013 წლის განმავლობაში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და დაფინანსდება:

- საფეხბურთო საკლუბო გუნდი „შუქურა“ მატერიალური მხარდაჭერის მიზნით.
- ააიპ ქობულეთის კომპლექსური სასპორტო სკოლა.

4.1.1 ქობულეთის კომპლექსური სასპორტო სკოლის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 01)

სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი წრეები: თავისუფალი ჭიდაობა, ძიუდო, ძალოსნობა, ველოსპორტი, რაგბი, ჭადრაკი, ფეხბურთი (გოგონათა და ქაბუკთა). წრეებში დაკავებულია 300 ზე მეტი ბავშვი, ტარდება შიდა სასკოლო და რესპუბლიკური მნიშვნელობის სპორტული ღონისძიებები.

4.1.2. სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული სახეობების განვითარება-პოპულარიზაცია და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. პროგრამა ითვალისწინებს თავისუფალი ჭიდაობის სახეში სხვადასხვა ცნობილი სპორტსმენთა (მელაშვილი, ჩელეშაძე) სახელობის ტურნების მოწყობას, ფეხბურთის სახეში ცნობილი სპორტსმენის (ამირან ანანიძის) სახელობის ტურნირის მოწყობას, სადაც მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონების ახალგაზრდა ფეხბურთელთა ნაკრები გუნდები, სპორტის სახეობებში როგორცაა: ჭადრაკი, ძალოსნობა, ძიუდო, მინი ფეხბურთი, რაგბი მუნიციპალიტეტისა და რესპუბლიკურ პირველობისათვის მონაწილეობის ხელშეწყობას; პროგრამა დააფინანსებს აჭარის პირველ მოსწავლეთა თამაშებში ქობულეთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების მონაწილეობის ხელშეწყობას, გათვალისწინებულია ქობულეთის დამშობილებული ქალაქის ალავერდის სპორტული დელეგაციის და ალავერდში მუნიციპალიტეტის სპორტული დელეგაციების ვიზიტების უზრუნველყოფას, წლის განმავლობაში დაფინანსდება წარმატებული სპორტსმენების დაჯილდოება .

4.1.3. საფეხბურთო საკლუბო გუნდის „შუქურას“ მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 01 03)



პროგრამა ითვალისწინებს მხარდაჭერის ფარგლებში საფეხბურთო კლუბის დაფინანსებას. კერძოდ ფეხბურთელთა ტრანსპორტირების დაფინანსებას, სხვადასხვა სპორტულ თამაშებში მონაწილეობის ხელშეწყობას და გუნდის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს.

4.1.4. სპორტული კომპლექსის მშენებლობა (პროგრამული კოდი 05 01 05)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სპორტული კომპლექსის მშენებლობა ხელს შეუწყობს სპორტსმენებისათვის შესაბამისი სავარჯიშო პირობების შექმნას, ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას და მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინებას, ასევე სპორტული კომპლექსი გახდება სხვადასხვა ადგილობრივი თუ რესპუბლიკური სპორტული ღონისძიებების ჩატარების ადგილი. სპორტული კომპლექსი განთავსდება 5000კვ/მეტრ ფართობზე და შესდგება ორი ნაწილისაგან : მთავარი დარბაზისა (მაყურებლის ტრიბუნა-600 მაყურებელი და სათამაშო მოედანი) და ოთხსართულიანი შენობისაგან (განლაგებული იქნება გასახდელეები, სველი წერტილები, დამხმარე მცირე ზომის ორი დარბაზი და სასადილო სამზარეულოთი, სააქტო დარბაზი და ადმინისტრაციის განსათავსებელი ოთახები).

4.2. კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

4.2.1. ა(ა)იპ ქობულეთის სახელოვნებო სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 01)

მუნიციპალიტეტი კვლავ განაგრძობს 2013 წლის პროგრამის ფარგლებში სახელოვნებო სკოლის თანადაფინანსებას სადაც გაერთიანებულია სოფლების ხუცუბნისა და ბობოყვათის, დაბა ჩაქვისა და ქ.ქობულეთის სკოლები სულ 570 მოსწავლეზე მეტი.

4.2.2. ა(ა)იპ ქობულეთის კულტურის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 02)

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს კულტურის ცენტრი რომელიც შესდგება საბიბლიოთეკო და მოსწავლე ახალგაზრდობასთან მუშაობის განყოფილება, მასში გაერთიანებულია 22 სასოფლო კულტურული დაწესებულება, შესაბამისად განყოფილებებში ფუნქციონირებს ეკოტურიზმის, კულტურული მემკვიდრეობის, ახალგაზრდობის თავისუფალი დროის ორგანიზების, ხალხური რეწვის, ლიტერატურულ-თეატრალური, რიტმული ცეკვების „ახალი რიტმები“ ჯგუფები და ქორეოგრაფიული ანსამბლი „საუნჯე“. ახალგაზრდული ანსამბლი ახალი ხმები და სასოფლო კლუბებთან არსებული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები სადაც სულ გაერთიანებულია 120 ახალგაზრდა, კულტურის ცენტრში იღებს განათლებას ქობულეთის 300 მდე მოზარდი. პროგრამა აფინანსებს კულტურის ცენტრის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს.

4.2.3 ა(ა)იპ ქობულეთის პარკი (პროგრამული კოდი 05 02 03)

მუნიციპალიტეტი საკუთრებაში არსებული პარკების მიმდინარე მოვლა-შენახვისა და საკურორტო ქალაქის იერსახის შენარჩუნების მიზნით დააფინანსებს ა(ა)იპ ქობულეთის პარკის ფუნქციონირებისათვის საჭირო ყველა ხარჯს.

4.2.4 ა(ა) იპ ქობულეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი"მხედრული"(პროგრამული კოდი 05 02 04)

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი სადაც ახალგაზრდა თაობებში კულტურული აღზრდისა და ეროვნული ცეკვების შენარჩუნების მიზნით მუნიციპალიტეტი დააფინანსებს ანსამბლის სხვადასხვა კონცერტებში მონაწილეობის ხელშეწყობისა და ფუნქციონირებისათვის საჭირო ყველა აუცილებელ ხარჯს.

4.2.5 კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 05)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის, მხარის ღირსეულად წარმოჩენის მიზნით ადგილობრივი და ჩამოსული სტუმრების დაინტერესების სანახაობებისა და წარმოდგენების მიზნით გაიმართება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები როგორცაა საახალწლო და სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი კულტურული ღონისძიებები. კერძოდ: დედისა და ქალთა



საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საღამო, „ზურაბობა“ სახალხო დღესასწაული, ტურიზმის კვირეულისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, ტურისტული სარეკლამო მასალების დამზადება, საკურორტო სეზონის გახსნა, ბოლო წარიწარმატებულ მოსწავლეებთან შეხვედრა, ხელოვანთა, მხატვართა და ფოტოგრაფთა გამოფენა, პედაგოგთა დღე, საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში მონაწილეობის მიღება, სხვადასხვა ფესტივალებში, კონკურსებსა და პროექტებში შემოქმედებითი კოლექტივების მონაწილეობის ხელშეწყობა, დამეგობრებულ ქალაქებს შორის ურთიერთობები, საბავშვო გასართობი პროგრამების მოწყობა, ცნობილი და შემოქმედი ადამიანების პოპულარიზაცია, სახალხო დღესასწაულებების მოწყობა, ქობულეთის მოქმედი ანსამბლის „ქობულეთის „საიუბილო დღის აღნიშვნა, მუნიციპალიტეტის სიმბოლიკის დროშა და გერბის დამდგენი გამარჯვებული კონკურსანტის ჰონორარი. გათვალისწინებულია საახალწლო წარმოდგენების მოწყობა პატარებისათვის.

4.2.6 ახალგაზრდული ღონისძიებათა ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 06)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდათაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში, ხელს შეუწყობს ახალგაზრდებს შორის ინტელექტუალური განვითარების პოპულარიზაციას, გაიმართება ეკოტურიზმის (ცნობიერების დონის ამაღლება, სემინარები, სამუშაო შეხვედრები), დედაენის დღისადმი მიძღვნილი და ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეული, ჩატარდება მუნიციპალური პირველობა სკოლის მოსწავლეთა შორის ინტელექტუალურ თამაშში „ბრენ-რინგი," გაიმართება ახალგაზრდა ხელოვანთა ნაშრომების პრეზენტაციები, მოეწყობა შეხვედრა ხანდაზმულ ადამიანებთან, განხორციელდება ახალგაზრდობის მიერ ინიცირებული მცირე პროექტების დაფინანსება.

4.2.7 ა(ა)იპ ქობულეთის მუზეუმი (პროგრამული კოდი 05 02 07)

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუზეუმი, რაც ემსახურება ქობულეთის როგორც საკურორტო და ისტორიული მნიშვნელობის ქალაქის განვითარებასა და პოპულარიზებას. მუზეუმში დაცულია იშვიათი ექსპონატები რომლებიც ადგილობრივი ოსტატობის ნიმუშს წარმოადგენს, საგამოფენო დარბაზი სრული დატვირთვით მოქმედებს და წლის განმავლობაში მასპინძლობს უწყევს არამართო ადგილობრივ არამედ უცხოელ დამთვალიერებლებსაც, ყოველივე აქედან გამომდინარე მუნიციპალიტეტი აფინანსებს მუზეუმის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს.

5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. სოციალური სფერო დაფუძნებულია ბენეფიციართა მიზნობრივ დახმარებებზე და პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები უზრუნველყოფენ მის შემდგომ დახვეწას, რათა გაიზარდოს პროგრამების სიზუსტე და დახმარების ეფექტიანობა. ისევე იმოქმედებს პრინციპი, რომ მუნიციპალიტეტი დაეხმაროს იმ ადამიანებს, რომლებსაც ეს ყველაზე მეტად ესაჭიროება. ამ მიზნით მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის უფასო სასადილოში ცხელი საკვებით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული ფონის გაჯანსაღებისათვის მიმართული აქციების განხორციელებას, მათთვის მატერიალური მხარდაჭერას და სტიმულის მიცემას, დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიურ მატერიალურ დახმარებას.

5.1. ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამა ითვალისწინებს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, სხვადასხვა დაავადების მკურნალობის ხარჯების თანადაფინანსება, მათ შორის, ქრონიკულად პროგრესირებადი დაავადებების როგორცაა ეპილევსია. განხორციელდება მოსახლეობის უფასო სასწრაფო გადაუდებელი სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფა.

5.1.1 ქრონიკულად პროგრესირებადი დაავადებების მედიკამენტოზური დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 0101)

პროგრამა ითვალისწინებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეპილევსიით დაავადებული ბენეფიციარების მედიკამენტოზურ დახმარებას. ეპილევსიის სიხშირე მაღალია როგორც ბავშვებში ასევე მოზარდებში. დაავადების მიმდინარეობის ხელისშეშლაში ერთ-ერთი მთავარი პრინციპი შესაბამისი მედიკამენტების სისტემატური მიღებაა, რაც ხელს შეუშლის ბენეფიციართა დაინვალიდებას და შეამცირებს ავადობას. პროგრამა მუნიციპალიტეტში ხორციელდება უკვე 2009 წლიდან, მიმდინარე წელს პროგრამით განხორციელდება 180 ბენეფიციარის ყოველთვიურად მისაღები სპეციფიკური მედიკამენტებით



5.1.2 სასწრაფო სამედიცინო დახმარების მომსახურების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 01 05)

პროგრამა ითვალისწინებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ცენტრიდან დიდი მანძილით დაშორებული სოფლების კერძოდ: დაბა ჩაქვის, ხალას, საჩინოს, ციხისძირის თემის, სოფელ ჩაისუბნის და სოფელ დაგვას (ნაწილობრივ) მოსახლეობისათვის სასწრაფო სამედიცინო დახმარების დროულად აღმოჩენას. პროგრამა ითვალისწინებს სამედიცინო ჯგუფის პირველადი დახმარების მედიკამენტებით უზრუნველყოფას და პაციენტებამდე გადაადგილების უზრუნველყოფას, აგრეთვე ფუნქციონირებისათვის სხვა ყველა საჭირო ხარჯების ანაზღაურებას.

5.2. სოციალური დაცვის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 02)

მოსახლეობის სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. სოციალური სფერო დაფუძნებულია ბენეფიციართა მიზნობრივ დახმარებებზე და პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები უზრუნველყოფენ მის შემდგომ დახვეწას.

5.2.1. სოციალურად დაუცველი ფენისათვის მუნიციპალური უფასო სასაბუღალტრო პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 01)

პროგრამით ისარგებლებს ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოსახლეობა სოციალური მომსახურების სააგენტოს სარეიტინგო ქულა 0 დან 100 000-მდე ქულის მქონე, მარტოხელა პენსიონერი, დედამამით ობოლი ბავშვი, უსახლკარო, მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოსახული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, მარჩენალდაკარგული და მრავალშვილიანი (18წლამდე 5 და მეტი შვილი) ოჯახი, სულ 230 ბენეფიციარი. პროგრამა ითვალისწინებს ცხელი საკვებით უზრუნველყოფას დღეში ერთჯერადი კვებით კვირაში 7 დღის (წელიწადში 365 დღის) განმავლობაში.

5.2.2 ყოველი მესამე და მომდევნო ახალშობილზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 02)

მუნიციპალიტეტში დემოგრაფიული ფონის გაჯანსაღებისათვის პროგრამა ითვალისწინებს ერთჯერად მატერიალურ დახმარებას მესამე ახალშობილზე (109 ოჯახი) 500 ლარის ოდენობით, მეოთხე ახალშობილზე (20 ოჯახი) 700 ლარის ოდენობით, მეხუთე და მომდევნო ახალშობილზე (10 ოჯახი) 900 ლარის ოდენობით.

5.2.3 5 და მეტ მცირეწლოვან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 03)

მრავალშვილიანი ოჯახებისათვის დახმარება მუნიციპალიტეტის პრიორიტეტს წარმოადგენს, დემოგრაფიული პრობლემის ფონზე შეიმჩნება, რომ აღნიშნული კატეგორიის დიდი ნაწილი სოციალურად დაუცველი ოჯახებია, პროგრამა ითვალისწინებს ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 5 და მეტ მცირეწლოვან ბავშვთა ოჯახებზე (48 ოჯახი) ერთჯერად მატერიალურ დახმარებას 1000 ლარის ოდენობით.

5.2.4 ომის მონაწილეებზე და დაღუპულთა ოჯახის წევრებზე სადღესასწაულო დღეების ორგანიზებისა და დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 04)

